

სოფიო გვარამია
Sophio Gvaramia

საგამომცემლო საქმიანობის
წარმოშობა, განვითარება და
სამართლებრივი რეგულირება
საქართველოში



**ESTABLISHMENT, DEVELOPMENT
AND LEGAL REGULATION OF COPYRIGHT
LAW IN GEORGIA**

გვარამია სოფიო
Гварамия Софья
Gvaramia Sophio



საგამომცემლო საქმიანობის წარმოშობა,
განვითარება და სამართლებრივი რეგულირება
საქართველოში

Возникновение, развитие и правовое
регулирование издательской деятельности в
Грузии

Establishment, Development and Legal Regulation
of Copyright Law in Georgia

პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“
თბილისი
2006



წარმოდგენილი მონოგრაფია პირველი გამოცემაა, რომელიც საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის წარმოშობის, განვითარების და სამართლებრივი რეგულირების აქტუალურ საკითხებს ეთმობა. მასში გამოკვლეულია საქართველოში გამომცემლობის - წიგნის გადამწერთა სახელოსნოების (სკრიპტორიუმის), სტამბის აღმოცენება და მათი სამართლებრივი რეგულირების პრობლემები. მისი განვითარების თავისებურებანი საბჭოთა პერიოდში და თანამედროვე ეტაპზე. მონოგრაფიაში მოცემული საკითხების კვლევას „სააქტორო და მომიჯნავე უფლების შესახებ“ კანონის სრულყოფის პროცესში როგორც, თეორიული ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

2. ქართული სტამბა

რედაქტორები: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი ბესარიონ ზოიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გია ქირია

3. სააქტორო უფლება

რეცენზენტები: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლელა ნადიბაიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ეკა ზარნაძე

© გვარამია სოფიო
© პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“
ISBN 99940-65-37-8

1-88398

საქართველოს
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

საგამომცემლო საქმიანობის წარმოშობა, განვითარება და
სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

შესავალი	4
თავი I. ტერმინ „სკრიპტორიუმის“ საკითხისათვის	8
თავი II. სკრიპტორიუმის წამოშობა და გადამწერთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში XVIII ს.-დე	13
თავი III. საგამომცემლო საქმიანობა XVIII საუკუნიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე	26
§1. ქართული სტამბის და გამომცემლობის სამართლებრივი მდგომარეობა, საქართველოში 1828 წლამდე	26
§2. საქართველოს საგამომცემლო საქმიანობის რეგულირება რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით ...	31
თავი IV. საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საბჭოთა საქართველოში და თანამედროვე პერიოდში	39
§1. გამომცემლობის სამართლებრივი სტატუსი საბჭოთა საქართველოში	39
§2. საგამომცემლო ხელშეკრულების ადგილი საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პროცესში	44
§3. საგამომცემლო საქმიანობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები	50
დასკვნა	52
რეზიუმე რუსულ ენაზე	59
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	64
გამოყენებული ლიტერატურა	69

შესავალი

საქართველოში წინამდებარე საკითხის კვლევის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ დღემდე აღნიშნული პრობლემა სათანადოდ არ არის შესწავლილი, რაც რუსეთის იმპერიის და საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის ზეგავლენით იყო განპირობებული. საგამომცემლო საქმიანობის პრობლემები სათანადოდ არ იყო გამოკვლეული მეფის რუსეთის და საბჭოთა პერიოდის იურისტების მიერ. ამ სფეროში გაურკვეველობას ხელისუფლება თავის სასარგებლოდ იყენებდა, მას ხელთ ეპყრა საგამომცემლობები და აკონტროლებდა მათ, შეზღუდული იყო კერძო საგამომცემლობების არსებობა. მეცნიერულ გამოკვლევას შეეძლო წარმოეჩინა ის სამართლებრივი პრობლემები, რომელიც არსებობდა საგამომცემლო საქმიანობის სფეროში, რაც სახელმწიფოს მხრიდან წახალისებული არ იყო. მას შემდეგ რაც აღდგენილ იქნა დამოუკიდებლობა და საქართველო დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას აუცილებელი გახდა საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ცალკეული ასპექტების კვლევა. წინამდებარე ნაშრომით შევეცადეთ გამოგვეკვლია საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის წარმოშობა, განვითარება და სამართლებრივი რეგულირება, რაც მომავალში შესაძლოა გახდეს ამ სფეროში სხვა პრობლემების გამოკვლევის საფუძველი. ამ კუთხით მოცემული საკითხის შესწავლა განაპირობა მისმა მნიშვნელობამაც, კერძოდ, საგამომცემლო საქმიანობის წარმოშობის და განვითარების სამართლებრივი ასპექტების ისტორიული კვლევა დაგვეხმარება მისი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაში. თუ ჩვენთვის ცნობილი იქნება როგორ მიმდინარეობდა საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების განვითარება

და რა ხარვეზები იქნა დაშვებული, ადვილი შესაძლებელია იმის განჭვრეტა თუ რა მიმართულებით უნდა განვიხილოთ ანალოგიური მოვლენები, რომ მიღებული იქნეს საზოგადოებისათვის სასურველი შედეგი. ამდენად წინამდებარე პრობლემის კვლევას ისტორიული, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დღეისათვის არ გვაქვს მონოგრაფიული გამოკვლევები. თუმცა ამ პრობლემებს გარკვეული ადგილი ეთმობა ზ. ახვლედიანის,¹ ნ. ვეშნევეცკის, ბ. ივანოვის, ლ. ლევინის,² მ. ბოგუსლავსკის,³ გ. შერშენევიჩის,⁴ მ. ნიკალაევის,⁵ ა. იურჩენკოს,⁶ ტ. რივერსის⁷ ერომანოვას,⁸ ვ. ლიხაჩოვის,⁹ და სხვათა შრომებში. მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ლ. ოუენი.¹⁰ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ისტორიული წყაროებიდან გამოვიყოფთ – ივ.

¹ ახვლედიანი ზ., ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის უფლებები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.

² Вешневский Л. М., Иванов Б. И., Левин Л. Г., Формула приоритета, Возникновение и развитие авторского права, Л., «Наука», 1990.

³ Богуславский М. М., Вопросы авторского права в международных отношениях, М., «Наука», 1973.

⁴ Шершеневич Г. Ф., Авторское право на литературные произведения, Казань, 1891.

⁵ Николаев М. Н., Основы авторского права. М., « Прогресс», 1925.

⁶ Юрченко А. К., Издательский договор, Л., «ЛГУ», 1988.

⁷ Риверс Т., Справочник для вещателей о владении, приобретении, освобождении, взыскании и административном управлении прав, Лондон ЕСВ/АКТ, 1998.

⁸ Романова В. Л., Рукописная книга и готическое письмо во Франции в XIII-XIV вв. М., 1975.

⁹ Лихачёва В. Д., Искусство книги: Константинополь XI в. М., 1976. Лихачёва В. Д., Византийская миниатюра: Памятники византийской миниатюры IX-XV вв. в собраниях Советского Союза, М., 1977.

¹⁰ ოუენი ლ., ლიტერატურულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებათა ყიდვა-გაყიდვა, 2000., ინგლისურიდან თარგმნა ზაზა ცინცაძემ, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2001.



ჯავახიშვილის,¹¹ კ. კეკელიძის,¹² ა. იოსელიანის,¹³ შ. მეს-
ხიას¹⁴ ს.ჯორბენაძის¹⁵ და სხვათა შრომებს. ამ საკითხთან
დაკავშირებით მოგვეპოვება აგრეთვე ნორმატიულ მასა-
ლებიც – დედოფალ ანას სტატუტი,¹⁶ რუსეთის იმპერიის
კანონთა კრებული,¹⁷ საქართველოს სსრ მთავრობის
კანონთა და განკარგულებათა კრებულები.¹⁸

საგამომცემლო საქმიანობის წარმოშობა, განვითარება
და სამართლებრივი რეგულირება საქართველოში დღემდე
კომპლექსურად არ ყოფილა გამოკვლეული, რაც ალბათ
განპირობებული იყო ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული გარემოე-
ბებთან ერთად მოცემული საკითხის სპეციფიკურობით,
სირთულით და ამ სფეროში წყაროთა სიმცირით. საქარ-
თველოში უძველესი დროიდან გარეშე მტრების ხშირი
თავდასხმების შედეგად სამართლებრივი ძეგლები ნადგურ-
დებოდა და მათ შესახებ ცნობები იკარგებოდა, ამასთან
ერთად უძველეს დროში არ იწერებოდა და არ ინახებოდა
ბიბლიოგრაფიული ცნობები.

¹¹ჯავახიშვილი ივ., დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია.,
თბილისი, 1949.

¹²კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი,
1980.

¹³იოსელიანი ა., ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის
ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1990.

¹⁴მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. I, „მეცნიერება“, თბი-
ლისი, 1982.

¹⁵ჯორბენაძე ს., ი. ჭავჭავაძე და ლიტერატურული საკუთრება,
თბილისი, 1987.

¹⁶The statute of Queen Anna [http:// www.copyrighthistory. com/ anne.htm](http://www.copyrighthistory.com/anne.htm)

¹⁷Сводъ Законовъ Россійской Имперіи , Т. X, 1887, 1890.

¹⁸საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა
და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული,
1923–1975.

საგამომცემლო საქმიანობის სრულყოფილი მოწვევ-
რიგება თითოეული სახელმწიფოს მაღალი სამართლებრივი
კულტურის მაჩვენებელია. სწორედ ამიტომ მართებულად
მივიჩნით აღნიშნული პრობლემა შეგვესწავლა ისტო-
რიული კუთხით. გარკვეული სირთულეების მ იუხედავად
შევეცადეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებზე დაყრდ-
ნობით შეგვესწავლა წინამდებარე საკითხი. რამდენად
შეუძელით დასახული მიზნის მიღწევა კომპეტენტური
მკითხველის განსჯისათვის მიგვიჩნია. ავტორი დიდი
სიამოვნებით მიიღებს შენიშვნებს და წინადადებებს.

საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის შობა-განვითარების საკითხის განხილვამდე მართებულად მიმანია მოკლედ შევხვო ტერმინ „სკრიპტორიუმის“ მნიშვნელობას, მის წარმოშობას და დამკვიდრებას ამა თუ იმ ქვეყანაში, რამდენადაც ის მჭიდრო კავშირშია ჩვენს მიერ განსახილველ საკითხთან. უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით სკრიპტორიუმის შემდეგი განმარტებები გვაქვს: იგი (ლათინური სიტყვა – skriptorius ნიშნავს საწერს) წარმოადგენს VI–XII ს.ს. წიგნის გადამწერთა დასავლეთევროპულ სამონასტრო სახელოსნოს,¹⁹ „სკრიპტორიუმი არის ოთახი გადამწერთათვის განსაკუთრებით მონასტრებში“²⁰, პოლიგრაფიული ლექსიკონის თანახმად, „სკრიპტორიუმი არის სამონასტრო და გავლენიანი სასახლის წიგნის გადამწერთა სახელოსნო“²¹, საქართველოს უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით „სკრიპტორიუმი არის (ლათინური სიტყვა – Scriptorium ნიშნავს წერას) ძველად მონასტრებში: ცალკე გამოყოფილი ოთახი; ხელნაწერთა დასამზადებელი სახელოსნო საწერად.“²² რაც შეეხება სკრიპტორიუმის წარმოშობას ცალკეულ ქვეყნებში, არსებულ ცნობებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველად საგამომცემლო საქმიანობას საფუძველი ეყრება ძვ. საბერძნეთში, ხოლო (ცნო-

¹⁹Большой Энциклопедический словарь (БЭС), <http://slovari.ru/word.php?id=58107&sl=enc>.

²⁰Глоссарий основан на книге Мишель Браун «Понимая иллюминированные рукописи: путеводитель по техническим терминам» (Лондон, 1994). <http://www.ceu.hu/medstud/manual/MMMrU/frame17.html>

²¹Энциклопедия Полиграфии Составител — Николай Дубина <http://www.ruprint.ru/publish/gloss/s.php>

²²ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989, გვ. 469.



ბილია ტიტა პომპინიუს ატიკის სკრიპტორიუმი ათენში) შემდგომ ძვ. რომში (კალინის სკრიპტორიუმი). რთვობა ჩანს ხელნაწერი წიგნის დამზადების ანტიკური ტრადიცია შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა ამა თუ იმ ქვეყნის სკრიპტორიუმებში. კერძოდ, ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები: „იტალიაში VI საუკუნეში მონასტრის წარმოშობასთან ერთად შესამჩნევი ხდება ბიბლიოთეკის და წიგნების გადასაწერი ადგილის – სკრიპტორიუმის, არსებობა.“²³ (ცნობილია კასიოდორის სკრიპტორიუმი სამხრეთ იტალიაში V ს.).

„შუა საუკუნეებში პრალის წმ. გიორგის მონასტერში, რომელიც განთქმული იყო თავისი საგანმანათლებლო მოღვაწეობით არსებობდა სკრიპტორიუმი – გადამწერთა სახელოსნო, სადაც იქმნებოდა მუსიკალური და სხვა მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები.“²⁴

„სომხური სინაინას მონასტერი ერთ–ერთი მთავარი შუასაუკუნეობრივი კულტურული ცენტრი იყო ჩრდილოეთ სომხეთში (ქ. ალავერდთან ახლოს). სანაინაში არსებულ სკრიპტორიუმში მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა. აქვე იყო ბიბლიოთეკა და აკადემია. X–XIII საუკუნეებში სანაინას მონასტერში ცხოვრობდა 300-500 ადამიანი, მათ შორის მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები.“²⁵

დასავლეთ ევროპის სკრიპტორიუმებზე ცნობებს გვაწვდის ბ. ფილია და გ. ზასლავსკი „დასავლეთ ევროპაში VI–VII საუკუნეებში ხელთნაწერი წიგნები მზადდებოდა სამონასტრო სკრიპტორიუმებში. ამ მონასტრებიდან გამო-

²³Поль Монастырей в культуре Италии VI-X веков <http://www.library.by/shpargalka/belarus/literature/001/lit-010.htm>

²⁴Монастырь св. Георгия, история, архитектура <http://www.ilovecz.ru/index.php?idofpage=4583>

²⁵Большая советская энциклопедия. 3-е издание. М., 1970-77. <http://www.kavkaz-uzel.ru/encyclopediatext/encyclopedia/id/698140.html>



სული წიგნები უპირატესად იყო რელიგიური შინაარსისა. ხშირად ერთი ადამიანი გადაიწერდა ტექსტს და უკეთებდა მას ილუმინირებას.²⁶ (ცნობილია ჩრდილო-დასავლეთ ფრანკთა სახელმწიფოში კორბის მონასტრის სკრიპტორიუმში VII საუკუნეში).

პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ „მონასტრებსა თუ დიდი სენიორებისა და ხელმწიფეთა ბიბლიოთეკებში, ჰქონდათ, სკრიპტორიუმები, სადაც როგორც სახელოსნოში მუშაობდნენ კალიგრაფები (ხატატები) ისინი ეწეოდნენ მასობრივი მოთხოვნილების წიგნთა გადაწერას, როგორც საკუთარი ინიციატივით, აგრეთვე შეკვეთითაც... სკრიპტორიუმები თავისი დროისათვის თავისებურ გამომცემლობებს წარმოადგენდნენ და მათი ნაკეთობა ... მათი სკრიპტორიათა უმრავლესობის არსებობის წყარო იყო“.²⁷

მონასტრის, სასახლის, დასავლეთ ევროპის საუნივერსიტეტო და საქალაქო სკრიპტორიუმების და მათი სამუშაო რეგლამენტის თაობაზე ცნობებს გვაწვდიან ვ. რომანოვა,²⁸ ვ. ლიხაჩოვი,²⁹ ი. მოკრეცოვი,³⁰ ე. ნიკიტუკი³¹ და სხვები.

როგორც ირკვევა სკრიპტორიუმში, როგორც წიგნის გადაწერთა სპეციალური სახელოსნო, თანამედროვე გამომ-

²⁶ Пилия Б., Заславский Г., Странные манускрипты раскрывают тайны. «Независимая Газета», 2005. 22. 04. Санкт-Петербург-Москва.

²⁷ გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს. ტ. VII, „მეცნიერება“, თბილისი, 1984, გვ. 41.

²⁸ Романова В. Л., Рукописная книга и готическое письмо во Франции в XIII-XIV вв. М., 1975.

²⁹ Лихачёва В. Д., Искусство книги: Константинополь XI в. М., 1976. Лихачёва В. Д., Византийская миниатюра: Памятники византийской миниатюры IX-XV вв. в собраниях Советского Союза, М., 1977.

³⁰ Мокрецова И. П., Романова В. Л., Французская книжная миниатюра XIII в. М., 1983.

³¹ Никитюк Е. В., Библиография античной истории, Учебно-методическое пособие по спецкурсу, Санкт-Петербург, 2005.

ცემლობის წინამორბედი, თავდაპირველად ჩამოყალიბდა ანტიკურ სამყაროში ძვ.წთ.ად. სამი ოთხი ათასი წლის წინათ და მათი გამოცდილების გათვალისწინებით საუკუნეების განმავლობაში გავრცელდა და განვითარდა მთელს მსოფლიოში. სწორედ ანტიკური კულტურის წყალობით სკრიპტორიუმში დამკვიდრდა საერთაშორისო ტერმინად. თუ სკრიპტორიუმში განმარტებებიდან გამომდინარე წარმოადგენს სახელოსნოს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის შედიოდა ერთიან სახელოსნოს სისტემაში, რომლის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდებოდა ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობით. კერძოდ, ბერძნული სამართლით,³² რომის სამართლით,³³ ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებით,³⁴ რომის სამართლით.³⁵ და ა.შ.


საქართველოს, როგორც ერთ-ერთ კულტურული ტრადიციების მიმდევარ ქვეყანას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ანტიკურ ქვეყნებთან, რამაც ვფიქრობთ განაპირობა საგანმანათლებლო კულტურული კერის, გადამწერთა სახელოსნოს – სკრიპტორიუმების დამკვიდრება. აღნიშნული საკითხი ფართოდ არის განხილული II თავში.

³² დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული., თბილისი, 1963, გვ. 207.

³³ იქვე გვ. 374

³⁴ წერეთელი აღ., ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები, ტფილისი, 1934, გვ. 62, 74.

³⁵ დერნბურგი ჰ., პანდექტები, თარგმანი ლ., ანდრონიკაშვილის, თბილისი, 1928, გვ. 157.



სკრიპტორიუმი შუასაუკუნების დასავლეთ ევროპაში. V–XV სს.

<http://www.nlr.ru/fonds/manuscripts/westl.htm>

თავი II. სკრიპტორიუმის წარმოშობა და გადაშვართა
სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში XVIII
საუკუნემდე



საქართველოს საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებული ცნობები ძირითადად მოგვეპოვება, ქართულ მხატვრულ თუ საისტორიო ძეგლებში. ამ ცნობების არსებობა მნიშვნელოვანია, თუნდაც იმიტომ, რომ სხვა, უფრო მტკიცე დოკუმენტი მთელი XVIII საუკუნის მანძილზე მისი არსებობის შესახებ არ მოგვეპოვება.

საქართველოს, დიდ და მცირე ქალაქებში, ისევე როგორც საზღვარგარეთ X-XI საუკუნიდან მოქმედებდა საგანმანათლებლო კერები - სკრიპტორიუმები. შესაძლოა მათი აღმოცენება უფრო ადრეული პერიოდიდანაც ვივარაუდოთ, თუმცა ამასთან დაკავშირებით ცნობები არ მოგვეპოვება. პ. გუგუშვილი ხაზს უსვამს პროფ. რ. შმერლინგის გამოკვლევას, ქართული ხელთნაწერი წიგნების მხატვრული გაფორმების საკითხზე, სადაც ის ვარაუდობს, რომ საქართველოში მეექვსე საუკუნის პირველი ნახევრიდან ზოგიერთ დიდ სავანეში ჩნდება სპეციალური სახელოსნო, სადაც ადგილი პქონდა წიგნების გადაწერას, აკინძვას, მოხატვას და სხვა.³⁶ აღნიშნული გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ სკრიპტორიუმები საქართველოში ადრეულ პერიოდშიც არსებობდა. საქართველოში მოქმედ სკრიპტორიუმებში იწერებოდა, ითარგმნებოდა, იხატებოდა ქართული წიგნები, ეწოდნენ საგამომცემლო საქმიანობას - წიგნების კალიგრაფიულ გადაწერას, აკინძვას, შემოსვა-მოკაზმვას და გავრცელებას. აღმოსავ-

³⁶ გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. V, „მეცნიერება“, თბილისი, 1962. გვ. 69.



ლეთ საქართველოში ასეთი სკრიპტორიუმები არსებობდა თბილისში, დავით გარეჯში, იყალთოს აკადემიაში, ტაეში, შიომღვიმეში, მცხეთაში, ბოლნისში, რუისში, ურბნისში, წილკანში, სამთავისში, ქვათახევში, ფიტარეთში, ტანძიაში, ალავერდში, გრემში, ბოდბეში, ტაო-კლარჯეთში, შავშეთში, სამცხე-ჯავახეთში, დასავლეთ საქართველოში ქუთაისში, გელათის აკადემიაში, ზუგდიდში, მარტვილში, ცაისში, ბედიაში, ოზურგეთში, შემოქმედში, რაჭა-ლეჩხუმში და ა. შ. სკრიპტორიუმები ძირითადად არსებობდა მეფე-დიდებულთა სასახლეებში და ეკლესია-მონასტრებში. საგამომცემლო საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობდნენ, როგორც სამეფო კარის წარმომადგენლები (მეფე დემეტრე I, გიორგი ბრწყინვალე, თეიმურაზ I, არჩილ II, გიორგი XI, დედოფალი ქეთევანი, მარიაში),³⁷ ასევე მღვდელმთავრები და რიგითი საეკლესიო მოღვაწენი. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „სამეფო კარზე კურაპალატს შეუქმნია მთელი დასი წიგნების გადამწერთა“.³⁸

ქართველ მწიგნობრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სკრიპტორიუმებთან. აღსანიშნავია მათი მოღვაწეობა, როგორც დიდ ასევე მცირე მოცულობის მონასტრებში—საბას მონასტერში (პალესტინა V ს.), შავ მთაზე (სირია V-VI ს.), ულუმბოს მთის მონასტერში (თურქეთის ტერიტორია IX ს.), სინას მთა (IX ს.), ათონის მთა (საბერძნეთი X ს.), ჯვრის მონასტერი (იერუსალიმი), პეტრიწონის მონასტერი (ბულგარეთი XI ს.). როგორც ს. გამსახურდია აღნიშნავს ამ მონასტრებში ბერ-

³⁷ იხ. იოსელიანი ა., ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1990, გვ. 101.

³⁸ ბერძენიშვილი ბ., მასალები სწავლა-აღზრდის შესახებ „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, კრებ. I, 1937, გვ. 11.

მონაზონთა საქმიანობა იყო წიგნების გადაწერა, თარგმნა და გავრცელება.³⁹ ქართველ მწიგნობართა ურთიერთშინაობა და საქართველოში გადამწერთა ინსტიტუტის არსებობაზე მეტყველებს შემდეგი: „...შესრულებული სამუშაოები, როგორც ნათარგმნი, ასევე გადაწერილი, გარკვეული ეგზემპლარებით საქართველოში იგზავნებოდა და აქ სპეციალურ „მწერალთა“ ხელით კვლავ განავრცელებდნენ, რომელთაგან მრავალი შემორჩა საქართველოს წიგნთსაცავებს.“⁴⁰ „დაიწერებოდა თუ არა ახალი თხზულება, გადმოითარგმნებოდა თუ არა ახალი ძეგლი, ამ ახალი წიგნების შექმნის მსურველნი ჩნდებოდნენ და მათი გადაწერა იწყებოდა. გიორგი მთაწმინდელის სიტყვით, დავით დიდი კურაპალატი ეფთვიმე მთაწმინდელს „ხედაისხედა მოუწერნ, რათა თარგმნიდეს“ წიგნებს და „წარსცემდეს საქართველოში წამოსადებად და გასავრცელებლად.“⁴¹ როგორც ვხედავთ წიგნის გავრცელების ერთადერთი საშუალება იყო მისი გადაწერა. წერა, გადაწერა, დაწერა, მწიგნობრობა ხელოსნობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა. ავტორი და გადამწერი შეიძლება ერთიდაიგივე პირი ყოფილიყო, მაგრამ გადაწერით უფრო ხშირად სხვა პირები იყვნენ დასაქმებულნი.

წიგნების გამოცემა მოითხოვდა მაღალი კვალიფიკაციის გადამწერებს. გადაწერის ამ რთულ ხელოვნებას ბავშვობიდან ეუფლებოდნენ. ამას ადასტურებს საქართველოში არსებული კალიგრაფთა სკოლები: „გახშირდა ძველი ხელნაწერების აღდგენა-გაცხოველება, შეიქმნა კალიგრაფთა

³⁹ გამსახურდია ს., საზოგადოებრივ-ისტორიული აზრის განვითარება XI საუკუნის საქართველოში, „საბჭოთა საქართველო“, „მეცნიერება“, თბილისი, 1966, გვ. 47.

⁴⁰ იქვე გვ. 47

⁴¹ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, „მეცნიერება“, თბილისი, 1996, გვ. 87.



სკოლები.⁴² შ. მესხია აღნიშნავს, რომ საქართველოში იყვნენ მწერალთა ანუ გადამწერთა სხვადასხვა ჯგუფები „კეთილად მწერალნი“ (რომელნიც სუფთად და კარგად წერდნენ) „მალე მწერალნი“ (რომლებიც უფრო ჩქარა ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს) „მხხრეკელი“ (არასათანადო გადამწერი) იყვნენ „უცბად, უნდოდ, ჰავად და უგნურად მხხრეკელნი“.⁴³ ამ საკითხზე ცნობებს გვაწვდის ივ.ჯავახიშვილიც „ძველად წერისა და დანაწერისათვის გარკვეული „კანონი“ ყოფილა შემუშავებული, როგორც ასოთა მოხაზულობა—გამოყვანისათვის, ისევე მათი „ჩამოსხმისა“—თვის. ამ წესების დარღვევა უკანონოდ იყო მიჩნეული და დაწერილს „უნდოდ და ჰავად“ ხდიდა“.⁴⁴ გადაწერის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დედანიდან უშეცდომოდ გადმოწერას, რაც ხშირად სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ხერხდებოდა და იწვევდა ნაწარმოების დამახინჯებას. ამასთან დაკავშირებით გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავს, რომ: „ექვთიმეს მიერ ნათარგმნი დავითნი გადამწერს განერყვნა“.⁴⁵ გადამწერის მიერ ნაწარმოების დამახინჯება კ. კეკელიძის აზრით გამოწვეული იყო იმით, რომ „გადაწერის პროცესში არაკომპეტენტური პირები ცუდად კითხულობდნენ ამა თუ იმ სიტყვას და შეცდომით გადმოჰქონდათ ის თავიანთ ნუსხებში. უფრო მეტად ეს ცვლილებანი და დამახინჯებანი შეგნებულად ხდებოდა: ზოგი იდეოლოგიური, მსოფლმხედ-

⁴²მენაბდე ლ., ძვ. ქართული კულტურის კერები, თბილისი, 1992, გვ. 32.
⁴³იხ. მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. I, „მეცნიერება“, თბილისი 1982, გვ. 133-134
⁴⁴ჯავახიშვილი ივ., თხუზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. „მეცნიერება“, თბილისი, 1996, გვ. 78, 81.
⁴⁵კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, „მეცნიერება“, თბილისი, 1980, გვ. 221.




ველობითი მოსაზრებით ასწორებდა ტექსტს: ზოგიერთი გადამწერი, რომელსაც არ ესმოდა ესა თუ ის სიტყვა, გადაწერის დროს ან სულ გამოავლედება მას, ანდა თავისი გემოვნებისა და გაგების მიხედვით შესცვლიდა მას. „⁴⁶ ამის მიზეზი იყო ისიც, რომ ხშირად გადამწერს დედნის უქონლობის გამო რამდენჯერმე გადაწერილი ტექსტიდან უხდებოდა გადმოღება, „გულსმოდგინებითა გარდმოწერე მესამისა წიგნისაგან მეოთხედ წიგნად“.⁴⁷ როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს „გადამწერლის მთავარი საზრუნავი იყო თავისი გადანაწერის უცთომელობა დაეცვა, რომ ზნეობრივი მოვალეობა ჰქონოდა თავისი შემკვეთელისთვისაც და მერმინდელი გადამწერთათვის ... მათ კარგად იცოდნენ, რომ მათი დანაწერის ნაკლს მკითხველი არ აპატიებდა და იმას გარდა, რომ თანამედროვეთა შორის სახელი გაუტყდებოდათ, თუ იქ რამე შეცდომით აღმოჩნდებოდა“.⁴⁸ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ნაწარმოების დამახინჯების შემთხვევაში საზოგადოებაში არსებული ჩვეულება იწყებდა მოქმედებას, ამიტომ გადამწერი ცდილობდა გულმოდგინედ შეესრულებინა თავისი სამუშაო, თუმცა თუ კ. კეკელიძის შეხედულებას გავითვალისწინებთ ყველა გადამწერზე ამას ვერ ვიტყვით. „გულმოდგინედ ვიხარკე, რათა უცდომელად დაეწერო და კუაღად შევაწამე და სადაც ვიპოვე გინა თუ დაკლებული, ანუ შემატებული ვიდრე ასოდ ერთადამდე, ყოველივე გან-

3

⁴⁶ კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, „მეცნიერება“, თბილისი, 1981, გვ. 99.

⁴⁷ კეკელიძის სახელობის ხელთნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A №840.

⁴⁸ ჯავახიშვილი ივ., თხუზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1996, გვ. 63.





ემართე.⁴⁹ სამუშაოს ზედმიწევნით შესრულებაზე ლებს, აგრეთვე გადაწერის შემდეგ გადაწერილის რების აუცილებლობა, მისი დედანთან შედარება. ამ საქმიანობის შესრულება კი უწევდა რედაქტორ-გამომცემელს. ამ მხრივ აღსანიშნავია იოანე ზოსიმეს რედაქტორობა, „მეცნიერული ხასიათი იოანეს რედაქციული მუშაობისა მდგომარეობს იმაშიც, რომ თანამედროვე რედაქციასთან ერთად მას მოჰყავს უკვე ხმარებიდან გამოსული „ძუელი“ რედაქცია ტექსტისა,“ (X ს. 60-იანი წ.წ.)⁵⁰ გადამწერი, რომელიც წიგნის გადაწერის დასრულების შემდეგ მინაწერში ღოცვით მოხსენიებას ითხოვდა, სავარაუდოა, ყოფილიყო ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ გადამწერს აუცილებინა საზოგადოების პასუხისმგებლობა შეცდომის შემთხვევაში.

ქართულ ხელნაწერებში მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა ნაწარმოების, როგორც ინდივიდუალურ ასევე ჯგუფურ გადაწერას. „ათონის 1) 978 წლის ხელნაწერში ნათქვამია: „დაიწერა წი თესე წიგნი ჰელითა სამთა მწერალთა: მიქაელისათა, გიორგისითა და სტეფანესითა.“⁵¹ 2) 1008 წლის ხელნაწერში ნათქვამია, რომ: „ბრძანებითა ... მამისა ჩნისა ეფთუმესითა ჩვენ გლახაკნი და ცოდვილნი არსენი ნინოწმინდელი და იოვანე გრძელიძე და ოქროპირი ღირს ვიქმენით დაწერად ჰელითა ჩნითა წითა ამათ წიგნთა თარგმანებულთა განმანათლებელისა წისა მამისა ჩნისა ეფთუმესითა ბერძნულისაგან ქარ-

⁴⁹ უორდანიი თ., ქრონიკები, წიგნი 1, ტფილისი, „სტამბა მ. შარაძის“, 1892, გვ. 123.

⁵⁰ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, „მეცნიერება“, თბილისი, 1980, გვ. 166.

⁵¹ Цагарели А., СПГП. I, Тифлиси, 1881, ст. 70, 71.

თულად ... (გევედრებით) ჩუენ მწერალნი ... მოვევძსენ-
იოთ“.⁵²

იმ შემთხვევაში თუ ნაწარმოები ან შემკვეთი ხელმოწერა
ხოვდა გადაწერასთან ერთად მის შემკობას, ამისათვის მზა
ნაწარმოები ეგზავნებოდა შესაბამის ხელოსნებს. „შედგე-
ბული და მხატვრული მოთხოვნების მქონებული წიგნის
შემკვეთელი და მომგებელი ცდილობდა თავისი წიგნი
სურათებით, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე,
„ხატებით“ შეემკო.“⁵³

ნაწარმოების გადაწერისა და შემკობის შემდეგ ადგილი
ჰქონდა მის აკინძვას. „არსენი ეპისკოპოსისა და თანავე
კეთილად მწერლისა ამის წიგნისა და მოხუცებულისა
იოვანე გრძელისძისათუს, რომელმან დიდითა წადიერებითა
იხარკა ამის წიგნისა შემზადებაი“.⁵⁴ ტერმინი „კელი მწიგ-
ნობრობისაი“ შ. მესხიას აზრით შეიცავდა მწიგნობრობას-
თან დაკავშირებულ ყოველგვარ ხელობას. იგი აღნიშნავს,
რომ ცალკე დამოუკიდებელ დარგებად ითვლებოდა „წერად
ხუცურისაჲ“, „შეკერვაჲ წიგნისაჲ“, მაგრამ ისინი ერთად
მწიგნობრობის ხელობას შეადგენდნენ და ზოგჯერ ერთი
პირის ხელში ერთიანდებოდნენ კიდევ.“⁵⁵ „... შეიწყალე საბა
მწერალი და იოანე მმოსელი ...“⁵⁶ აღნიშნული საშუალებას
გვაძლევს ვთქვათ, რომ წიგნის გადამწერნი და წიგნის
შემკერავნი შესაძლებელია ერთად ასრულებდნენ
შეთანხმებით სამუშაოს.

⁵² Там же, ст. 82.

⁵³ ჯავახიშვილი ივ., თხუზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, „მეც-
ნიერება“, თბილისი, 1996, გვ. 83.

⁵⁴ უორდანიას თ., ქრონიკები, წიგნი I, ტფილისი, „სტამბა მ.
შარაძის“, 1892, გვ. 166.

⁵⁵ მესხია შ., დასახელებული ნაშრომი, ტ. I, 1982, თბილისი, გვ. 130

⁵⁶ უორდანიას თ., ქრონიკები, I, ტფილისი, „სტამბა მ. შარაძის“,
1892, გვ. 122.



საქართველოში გადამწერთა დამცავი ნიშნის არსებობაზე მეტყველებს, გადმოწერილ ნაწარმოებებზე დაწერილი თული ანდერძი, რომელშიც მითითებულია თუ ვინ იყო მისი გამომცემელი და როდის იქნა გამოცემული. ვფიქრობთ, რომ ხელნაწერის გადამწერთა ნიშანი იცავდა გადამწერთა (გამომცემელთა) უფლებებს და ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარეგნული ნიშანი იყო. წიგნის გადამწერები ყოველ ეგზემპლარს უკეთებდნენ საგამომცემლო ნიშანს და პირად ხელმოწერას. იოანე ზოსიმეს „თითქმის ყველა ხელნაწერისათვის, რომელთანაც რაიმე დამოკიდებულება ქონია, მას დაურთავს „ანდერძი“, რომელშიაც აღნიშნულია თარიღი (ქართული და ხშირად უცხოურიც) წიგნის გადაწერისა თუ „შემოსვისა“, ავტორის თანამშრომელი და სინას მთის მოღვაწენი“ (X ს. 60-იანი წ.წ.)⁵⁷ რედაქტირებისას გიორგი მთაწმინდელს ჰქონდა ასეთი წესი შემოღებული: თითოეულ ნაწარმოებზე მითითებული უნდა ყოფილიყო როდის, სად და ვის მიერ დაიწერა იგი.⁵⁸ „ეგრემ მცირეს ... დართული აქვს, როგორც გადამწერლის სახელი, ისე წელი და თვის რიცხვი გადაწერისა“.⁵⁹ კ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ „საერთოდ წიგნს ჰქონდა „ანდერძი“, სადაც ჩვეულებრივ წარმოდგენილი იყო ცნობები მისი ავტორის ვინაობის, თვით წიგნის რაოდენობის, მისი დაწერის თუ გადაწერის დროისა და ადგილის, მომგებლის (შემქმნლის), წიგნის შემკვეთის, მთარგმნელის,

⁵⁷ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, „მეცნიერება“, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 165.

⁵⁸ იქვე გვ. 222.

⁵⁹ იქვე გვ. 399.



გადამწერის, ხმარებისა თუ სხვა მიზეზით დაზიანებული
წიგნის გამაახლებლის და სხვ. შესახებ“.⁶⁰

XI-XVIII საუკუნეში საქართველოში წიგნების გადაწერა-გავრცელება რეგულირებული იყო იურიდიული ძალის მქონე, მეფეთა, ხელქვეით მოხელეთა, კერძო პირთა და დაწესებულებათა მიერ გამოცემული ბრძანებების და პატრიარქის ეპისტოლეს საფუძველზე. ამის ვარაუდს კი გვაძლევს შემდეგი: „საქართველოს ეკლესია თავის მართვა-გამგეობაში ხელმძღვანელობდა აგრეთვე საკუთარი, ადგილობრივი კანონმდებლობით, რომლის ორგანოდ და წყაროდ ითვლებოდა: ა) კერძო პირთა განმარტებანი, ბ) კათოლიკოს-პატრიარქთა ეპისტოლენი, გ) სამოქალაქო ხასიათის იურიდიული კოდექსები და დ) ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი.“⁶¹ ამასთან დაკავშირებით ა. იოსელიანი აღნიშნავს, რომ საქართველოში წიგნის ბეჭდვა ხდებოდა მეფის ბრძანებით და პატრიარქის კურთხევით.⁶² ის გადმოგვცემს საქართველოს კათალიკოს ექვთიმეს 1310 წელს დაწერილ „ანდერძს“- ექვთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეპისკოპოსსა და ყოვლისა მთიულისა წინამძღვარსა კირილ დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თოთუელისათვის ეკლესიისა. მეცა გარდავაწერინე კაკისა წმინდისა ბარბარეს ტაძრისა მღვდელსა იასე ქიტიაშიელისა და ათთორმეტთა მისთა მოწაფეთა“.⁶³ „... მე ბრძანებითა წმინდისა მამისა ... იოანესითა.. გარდავაწერენ

⁶⁰ გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. VII, „მეცნიერება“, თბილისი, 1984, გვ. 102.

⁶¹ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, „მეცნიერება“, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 566-567.

⁶² იოსელიანი ა., ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1990, გვ. 107

⁶³ იქვე. 231.

დაწყებით ვითა ჯერ იყო...⁶⁴ „ დაიწერა ... ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველეთისა ტრიარხისა კათალიკოზისა პატიოსნისა ეფთჳმისითა ...“⁶⁵ მეტად საინტერესოა აგრეთვე მ. კეკელიას ვარაუდი მწერლის ანუ გადამწერთა ინსტიტუტზე, ის აღნიშნავს, რომ: „მათი ურთიერთობანი, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ისე ერთმანეთთან სახელმწიფო სამართლებრივი ხასიათის ჩვეულებებით წესრიგდებოდა“. ⁶⁶

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ გადამწერთა შრომა ანაზღაურებადი იყო. ივ. ჯავახიშვილის აზრით „რაკი დამწერლობა ხელობა იყო და არსებობისა და თუ შემოსავლის სახსარს შეადგენდა, ამიტომ წიგნს უსასყიდლოდ არავენ დაწერდა.“⁶⁷ შ. მესხია აღნიშნავს, რომ „შრომის ფასი გადამწერლის ღირსებასა გადასაწერის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. ხელფასზე ქვეყნის იმდროინდელი პირობებიც ახდენდა გავლენას.“⁶⁸ ე.ი. ანაზღაურება დამოკიდებული იყო გადამწერლის პროფესიონალიზმზე, გადასაწერის მოცულობაზე და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სოციალურ მდგომარეობაზე. XVIII საუკუნეში ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით გადამწერი ერთი გვერდის გადაწერაში იღებდა ორ შაურს, „მე დამხვდა იადგარი „ნახევარ წერილი“ ა: და გავასრულე ყოვლითავე სისრულითა შეე-

⁶⁴ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი ალაპებით, თბილისი, 1901, გვ. 274.

⁶⁵ ჟორდანიას თ., ქრონიკები წ. II, ტფილისი, „სტამბა მ. შარაძის“, 1897, გვ. 435.

⁶⁶ კეკელია მ., ქართული ჩვეულებითი სამართალი, „მეცნიერება“, თბილისი, 1988, გვ. 33.

⁶⁷ ჯავახიშვილი ივ., თხუზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1996, გვ. 103.

⁶⁸ მესხია შ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 137.



მოსე და მოვცუარე და შევბეჭდე და მისისა დაწერისა და შეკახმებისათვის მივეც დრაკჰანი დუკატი იე“.⁶⁹

ჩვენამდე მოღწეული წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ავტორსა და გადამწერს (გამომცემელს) შორის ურთიერთობა ნაწარმოების გამოცემაზე წესრიგდებოდა შეკვეთის ხელშეკრულებით. (აღნიშნული ხელშეკრულების ქვეშ შეიძლება ვივარაუდოთ საგამომცემლო ხელშეკრულება) რასაც ხშირად ვხვდებით ისტორიულ წყაროებში. ღ. მენაბდე აღნიშნავს, რომ „სახელგანთქმული ბიბლია ოშკელმა მწიგნობრებმა (მიქაელ ვარაზვანეს ძემ, სტეფანე მწერალმა, გიორგი გელასის ძემ) ათონელი მოღვაწის იოანე-თორნიკეს დაკვეთით დაამზადეს. ამ უკანასკნელის და იოანე-ვარაზვანეს დაკვეთით სტეფანე ოშკელმა 977 წელს გადაწერა „სამოთხე“. მათივე დაკვეთით ნუსხებს ამზადებდა იოანე ჩირაც.“⁷⁰ „ათაბაგ მზეჭაბუკ ჯაყელის დავალებით მწიგნობარმა ამბროსიმ გადაწერა დავითნი (1494წ.), ყვარყვარე II შვილიშვილის ქეთაონ-ქრისტიანეს დაკვეთით ზებედე ნაუას ძემ გადაწერა სასულიერო შინაარსის კრებული“.⁷¹ „... ბევრი წიგნი გადაიწერა და გავრცელებულ იქნა იმერთა მეფის დავით II (1784-1789) მეუღლის ანა დედოფლის ინიციატივით.“⁷² „ქართულ ხელნაწერ წიგნთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოშკის ბიბლიას, რომელიც 978 წელს იოანე ნათლისმცემლის ლავრაში გადაუწერიათ თორნიკე ერისთავის დაკვეთით“.⁷³ „გაბრიელ მცირეს მეფის ძეთა ბაგრატისა და ფარნავაზის, აგრეთვე ენისელთ მოურავის ძის ნინოწმინდის მიტროპო-

⁶⁹ უორდანიბა თ., ქრონიკები, წიგნი II, ტფილისი, „სტამბა მ. შარაძის“ 1897, გვ. 49.

⁷⁰ მენაბდე ღ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 77-78.

⁷¹ იქვე გვ. 8.

⁷² იქვე გვ. 90.

⁷³ იქვე გვ. 73.

ლიტისა და რუსთავის მთავარეპისკოპოსის სტეფანეს
შეკვეთით გადაუწერია ... სხვადასხვა შინაარსის წიგნების
წერი“.⁷⁴ ივ. ჯავახიშვილი დამკვეთს „მომგებელს“ უწოდებს,
დამკვეთს შეექლო მასალა თვითონ მიეწოდებინა გადამ-
წერისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია 984 წელს სინას მთაზე
გაგზავნილი იოვანეს წერილი „მომგებელ“ მიქაელისადმი
„რომელი გებრძანა, დამიწერია მარიამ მეგვიპტელისაჲ არა
ვპოვე ... სხუად ვერად ვიცოდე, რამცა დავწერე რვეულნი,
რომელ დარჩის, საკითხავებად დავწერე ... ესე მე აღრე
დავწერე, გარნა არავინ ვპოვე ვისმცა მივსცე: აწ კურილე-
სადა წარმომიცემიან. თუ რას მიაწერიებდე, მიხარიან
ეტრადი გიზლო“.⁷⁵ როგორც პასუხიდან ჩანს დავსძენთ, რომ
დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვალდებულების შესრუ-
ლების ვადას. ვალდებულების შეუსრულებლობა ითვალის-
წინებდა პასუხისმგებლობას.

ივ. ჯავახიშვილის აზრით „გადამწერთა შორის ურთი-
ერთობა გარკვეული წესებით იქნებოდა მოგვარებული“. იგი
ყურადღებას ამახვილებს XI–XII საუკუნეებში გადამწერთა
ამხანაგობის არსებობაზე კულტურული განვითარებიდან
გამომდინარე, მაგრამ ვერ ასაბუთებს მას საჭირო ცნობების
უქონლობის გამო. ამის თაობაზე გვაწვდის მხოლოდ XVIII
საუკუნის I ნახევრის ცნობებს: „ციხის გულანში ნათქვამია:
„მე ცოდვილმან მღვდელმან საბად ჰელ-ყყავ პატიოსნისა
გულანისა ამის აღწერა ბრძანებითა პატიოსნის ნაკაშიძის
ბეჟანისათა ... ესე წა პატიოსანი სრული გულანი ჩემის

⁷⁴ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, „მეცნიერება“,
ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 339.

⁷⁵ ჯავახიშვილი ივ., დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია.
თბილისი, 1949, გვ. 56.




ცოდვილის ხელთ დამიწერია ... ამის წერაშიდ ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმაო.“⁷⁶

საქართველოში გადამწერებზე ცნობებს გვაწვდიან ქართველი მკვლევარები ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, დ. გერიტიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. სილოგავა, ლ. მენაბდე, ა. იოსელიანი, პ. გუგუშვილი და სხვები.

ჩვენს ხელთ არსებულ ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება გამოვეყნოთ ნაწარმოების გამოცემის რამდენიმე ეტაპი: 1. ხელნაწერთა გადაწერა, აღდგენა; 2. გადანაწერის დედანთან შედარება „განმართვა“ ანუ რედაქტირება; 3. წიგნის შემკობა ანუ დასურათება; 4. წიგნის სახით აკინძვა, შემოსვა; 5. წიგნის გავრცელება; საქართველოში წიგნზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა. იგი ძვირად ფასობდა და ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მდიდარი ფენისათვის. წიგნი აღებმიცემობის საგანს შეადგენდა. თავდაპირველად ავტორი თავის ნაწარმოებს თვითონ ავრცელებდა, ხოლო შემდგომ გასავრცელებლად და გასაყიდად წიგნის მოვაჭრესაც მიმართავდნენ. გამყიდველები ხშირად იმავე დროს ხელნაწერთა გადამწერებიც იყვნენ. პ. გუგუშვილის ცნობით საქართველოში პქონდათ საღვთო ანუ საეკლესიო და სამღვდელო, სამეცნიერო, საკითხავი, საერო ანუ გარეშე წიგნები და სხვა.⁷⁷ აღსანიშნავია საქართველოში სამონასტრო, სამეფო და კერძო მესაკუთრეთა წიგნთსაცავების, ხოლო საზღვარგარეთ ქართველ მოღვაწეთა მონასტრებში დიდი და მცირე წიგნთსაცავების არსებობა.

⁷⁶ ჯავახიშვილი ივ., თხუხულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, „მეცნიერება“, თბილისი, 1996, გვ. 64. 65.

⁷⁷ იხ. გუგუშვილი პ., ქართული წიგნი 1629–1929, „სახელგამი“, თბილისი, 1929, გვ. 18


ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი III. საგამომცემლო საქმიანობა
საქართველოში XVIII საუკუნიდან საბჭოთა
ხელისუფლების დამყარებამდე

§1. ქართული სტამბის და გამომცემლობის სამართლებრივი
მდგომარეობა, საქართველოში 1828 წლამდე

საქართველოში ცნობილი იყო გუტენბერგის გენიალური საბეჭდი დაზვის გამოგონების შესახებ, მაგრამ ქართული წიგნის ბეჭდვა რთული ისტორიული პირობების გამო XVIII საუკუნის დასაწყისამდე გადაიდო. სახელმწიფო მონოპოლია წიგნის ბეჭდვის საქმეში შემოღებულ იქნა XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის მეფობის დროს. თბილისში აღმოცენდა ევროპული დონის სტამბა. ვახტანგ VI თაოსნობით მომზადდა სტამბის მუშაკები, წიგნის რედაქტორ-გამომცემლები, კორექტორები, მთარგმნელები, მხატვარ-გრავიორები და წიგნის მომკაზმველები. საქართველოში ქართულ ენაზე პირველი დაბეჭდილი წიგნი „სახარება“ გამოვიდა 1709 წელს. ხოლო პირველი ქართული წიგნი საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიბეჭდა 1629 წელს ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი ლოცვებითურთ რომში. ამ პარაგრაფში ქართული სტამბით დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ მისი აღმოცენებიდან წლების განმავლობაში სწორედ ის ასრულებდა საგამომცემლო ფუნქციებს.

თუ საქართველოში XVIII საუკუნემდე საგამომცემლო საქმიანობაზე მონოპოლია მეფისა და კათალიკოსის უფლებამოსილებას შეადგენდა. XVIII საუკუნის შემდეგ სამეფო ხელისუფლება იძულებული შეიქმნა დათმობაზე წასულიყო და იჯარით გადაეცა სტამბა გამომცემელთათვის. სტამბა იჯარით გადაეცა: 1) მეფე ერეკლეს

გარდაცვალების შემდეგ გიორგი XII სიგელის საფუძველზე ქრისტესია კევერაშვილ-ბადრიძეს;⁷⁸ 2) 1803 წლის 3 მარტს მეფე სოლომონ II სიგელით გიორგი პაიჭაძესა და ზაქარია არქიმანდრიტ გურგენიძეს ქუთაისში;⁷⁹ 3) 1803 წლის ოქტომბერში მეფე სოლომონ II სიგელით ზ. წერეთელს ქუთაისში;⁸⁰ მოგვიანებით ვხვდებით კერძო გამომცემლობებსაც მაგ. სოფელ წესის და საჩხერეს საწერეთლო სტამბის სახით.

საქართველოში საგამომცემლო საქმიანობაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა ცენზურის (თავისუფალი აზრის დევნა) არსებობა რუსეთთან მისი შეერთების შემდეგ: „რაც საქართველო რუსეთის ქვეშევრდომობაში მოექცა, ქართული ბეჭდური წიგნის ბედი ცარიზმის ცენზურის შემავიწროებელ პირობებს დაუქვემდებარდა, რუსული საცენზურო კანონები ხელაღებით გაერცვლდა საქართველოში“.⁸¹ განსაკუთრებით მკაცრი ცენზურა იყო დაწესებული საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული წიგნების ბეჭდვაზე. ქართველ გამომცემლებს ქართული წიგნები უნდა დაებეჭდათ რუსეთის მთავრობის და სინოდის ნებართვით. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსეთის მთავრობისათვის ბაქარ ვახტანგის ძის თხოვნა საეკლესიო წიგნების დაბეჭდვაზე (XVIII ს.), ვსესვიატსკოვს სტამბაში ა. იოსელიანი თქმით „კატეგორიულად მოითხოვდნენ ქართული საეკლესიო წიგნების რუსულთან შესატყვისობას. 1740 წლიდან აკონტროლებდნენ ყოველ

⁷⁸ იოსელიანი ა., ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1990, გვ. 85.

⁷⁹ კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd №144.

⁸⁰ ჟურნალი „კვალი“, 1896 №27, გვ. 471-473.

⁸¹ იოსელიანი ა., ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1990, გვ. 23.



ქართულ გამოცემას და მის ტირაჟს. ბაქარის სტამბაში სინოდის ნებართვის გარეშე წიგნის დაბეჭდვის ბრალდება შეეძლოთ გამოვეყენებინათ სტამბის გაუქმებისათვის.⁸² უნდა ითქვას ისიც, რომ ცენზურა დაწესებული იყო უფრო ადრეულ პერიოდებშიც, კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ: „მეექვსე მსოფლიო კრებამ 63-ე კანონით შემოიღო აგიოგრაფიული ცენზურა მეშვიდე საუკუნის გასულს, რომლის გამოძახილს საქართველოში, შედარებით გვიან, მეთექვსე საუკუნეში მოუღწევია...“⁸³ შესამჩნევია იგი ვახტანგ მექსის და ერეკლეს მეფობის დროსაც: „ვახტანგის სტამბის ცენზურა, გარდა იმისა, რომ ბოჭავდა საეკლესიო უწყების მონოპოლიურ ტრადიციულ უფლებებს წიგნის ბეჭდვაში, ამასთან ფხიზლად ადევნებდა თვალყურს წიგნებზე თანდართული ანდერძების მინაწერებისა და ყოველგვარი საგამომცემლო შენიშვნების შინაარსს ...“ „მეფე ერეკლე, თავის საცენზურო მონოპოლიურ უფლებებს სამეფოში შემოტანილ წიგნებზეც ავრცელებდა“.⁸⁴ ა. იოსელიანის თქმით ცენზურა ვრცელდებოდა, როგორც სტამბაზე, (მეფე ერეკლეს და ანტონ I დროს) ასევე ზოგიერთი ხელნაწერის მიმართაც.

XVIII საუკუნეში რთული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე სტამბის გარეშე დარჩენილ საქართველოში მიმართავდნენ წიგნის ხელით გადაწერას, რამაც საფუძველი ჩაუყარა წიგნის ხელით გადაწერთა ამხანაგობის-თაბუნების შექმნას. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტიც, იესე ბარათაშვილი თავის ანდერძში გვაუწყებს

⁸² იოსელიანი ა., ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1990, გვ. 276.
⁸³ კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, „მეცნიერება“, თბილისი, 1980, გვ. 450.
⁸⁴ იოსელიანი ა., ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1990, გვ. 232-233.



„სამღვდელო წიგნებს ეწერდი, კვიდდი და იმით მოვირეწდი. შეგირდები მისხდნენ ოცდაათი, ზოგი სამღვდელონი, ზოგი საერო, ისინი მსახურობდნენ კარგა.“⁸⁵ XVII-XVIII საუკუნეებში თაბუნის-ამქრის ინსტიტუტის არსებობაზე ყურადღებას ამახვილებს შ. მესხია იგი აღნიშნავს, რომ გადამწერთა ამხანაგობას „თაბუნი“ და „ასნაფი“ ერქვა და XVII-XVIII საუკუნეებში „ამქრის“ მნიშვნელობით იხმარება.⁸⁶

1767 წელს ერეკლე მეფის ნებართვით კათოლიკოს ანტონ პირველის მიერ გამოცემულ იქნა „კანონიკური ეპისტოლე“ (იგი შედგებოდა 15 მუხლისაგან) მე-12 მუხლის თანახმად, „ეკლესიები უნდა იძენდნენ მხატვართაგან დამზადებულ ხატებს და სტამბაში გამოსულ წიგნებს.“⁸⁷ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში მეფის მიერ კათალიკოსისადმი გაცემული ნებართვა და მის საფუძველზე კათალიკოსის მიერ გამოცემული „კანონიკური ეპისტოლე“ იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი იყო, რომლითაც მნიშვნელოვან საეკლესიო საკითხებთან ერთად სამართლებრივად რეგულირდებოდა ხელისუფლება და გამომცემლობას შორის ურთიერთობა.

XVIII საუკუნის 40-იან, 50-იან წლებში მოსკოვი, პეტერბურგი, მოზდოკი, ასტრახანი და სხვა პუნქტები იმერეთის მეფის არჩილის ინიციატივით და რუსეთის იმპერატორის პეტრე I მხარდაჭერით საქართველოს რთული ისტორიული ვითარების გამო ქართველთა საგამომცემლო ცენტრი გახდა. მოსკოვში ქართული სტამბა დაარსდა 1737 წელს

⁸⁵ ოსელიანი ა., იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, თბილისი, 1950, გვ. 6-7.

⁸⁶ მესხია შ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 136.

⁸⁷ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, „მეცნიერება“, თბილისი, 1980, გვ. 567.

ბაქარ ვახტანგის ძის, ქრისტეფორე გურამიშვილის, იოსებ სამებელის ... თაოსნობით და იარსება 1745 წლამდე. 1762 წელს მოსკოვში სინოდის ნებართვით თბილისელი მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი აარსებს ახალ სტამბას, რომელმაც იარსება 1768 წლამდე. 1796 წელს გაიზრქტორის თაოსნობით მოზდოკში დაარსდა ქართული სტამბა, რომელმაც იარსება 1803 წლამდე. XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს საგამომცემლო საქმიანობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის იმერეთს. იმერეთის სამეფოში ამოქმედდა რამდენიმე სტამბა. პირველი სტამბა დაარსდა XVIII საუკუნის დასასრულს იმერეთის მეფის სოლომონ II ინიციატივით ქუთაისში, სოფელ წესში 1809 წელს, საწერეთლო სტამბა ზურაბ წერეთლის თაოსნობით საჩხერეში 1815 წელს.

საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში მოქმედებდა მეფის ბრძანებით და ხარჯით სამეფო სტამბა (ქუთაისი) და ნიკორწმინდელი არქიეპისკოპოს სოფრონის დახმარებით საეკლესიო სტამბა (სოფ. წესი).

1801 წლიდან ქართლ-კახეთის, ხოლო 1810 წლიდან საქართველოს მთლიანად რუსეთთან შეერთების შემდეგ საგამომცემლო საქმიანობის ისტორიის სხვა ეტაპი იწყება. 1804 წელს თბილისში კეთილშობილთა სკოლაში, მხარის გამგებლის ციციანოვის გადაწყვეტილებით და XIX საუკუნის ათიან წლებში თბილისში მეფისნაცვლის კანცელარიასთან მთავრობის განკარგულებების და დადგენილებების დასაბუჯდად დაფუძნდა სტამბა, მოგვიანებით შეიქმნა სამხედრო სტამბა. XIX საუკუნის ათიანი წლების შემდეგ თბილისში მოქმედებს 1. საქართველოს მთავართბილის კანცელარიის სტამბა და 2. სასულიერო სტამბა.

§2. საქართველოს საგამომცემლო საქმიანობის რეგულირება რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით



რუსეთთან საქართველოს მიერთების შემდეგ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში საავტორო სამართლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნაში საქართველო ფაქტობრივად არ მონაწილეობდა და დამოკიდებული იყო რუსეთის იმპერიის კანონმდებლობაზე, ამას ადასტურებს რუსეთის 1830 წლის იმპერიის კანონთა კრებულში მოცემული ნორმა „საქართველოში რუსეთის კანონების გავრცელების შესახებ“.⁸⁸ დ. ძამუკაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში „რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას მოქმედებდა იმპერიული ნორმები და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვა შესაძლებელი იყო იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც იცავდა მათ რუსეთის იმპერიის სამართლის სისტემა.“⁸⁹ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში საგამომცემლო საქმიანობა რეგულირებული იყო რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით.

XIX საუკუნის II ნახევრამდე საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მიმართავდნენ, როგორც წიგნების ბეჭდვას, ასევე წიგნების ხელით გადაწერას, ხოლო XIX საუკუნის 90-წლებიდან საგამომცემლო საქმიანობა კვლავ იწყებს აღორძინებას, ამაზე მეტყველებს შემდეგი გარემოება: „ფართოვდება სტამბების და წიგნების გამომცემლობათა ქსელი საქართველოში ...

⁸⁸ Полное Собрание Законовъ Россійской Имперіи, Т. XLII, часть первая. Санктпетербургъ, Печатно въ Типографіи II, Отдѣленія Собственной ЕГО Императорскаго величества Канцеляріи, 1830, ст. 545.

⁸⁹ ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური უფლებები, „ინტელექტი“, თბილისი, 2006, გვ. 250.



თითქმის ყოველ პროვინციულ ცენტრში მოწყობილია სტამბა და სწარმოებს საგამომცემლო საქმიანობას. ბათუმი, სოხუმი, ფოთი, სენაკი, გორი, თელავი, სიღნაღი, ზესტაფონი...⁹⁰

პირველი საავტორო კანონი, რომელიც საქართველოში სავალდებულო იყო, მიღებულ იქნა რუსეთში 1826 წელს. იგი წარმოადგენდა საცენზურო წესდების ნაწილს. ყველა წიგნი წესდების მოთხოვნათა დაცვით უნდა დაბეჭდილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნზე პირი კარგავდა ყველა უფლებას. აღნიშნული კანონით ნაწარმოებზე კონტროლის მიზნით შექმნილ საცენზურო კომიტეტს სრული უფლება ჰქონდა ავტორის და გამომცემლობის დაუკითხავად ნაწარმოებიდან ამოეღოთ საეჭვო ფრაზები და ამ სახით მიეცათ ნებართვა გამოცემაზე. საცენზურო კომიტეტმა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში სასტიკი ბრძოლა დაიწყო საქართველოში არსებული არალეგალური სტამბებისა და გამომცემლობების მიმართ. 1826 წლის კანონი იყო პოლიციური ხასიათის ნორმა.

1828 წელს რუსეთში მეფის ნებართვით მიღებული იქნა ახალი საცენზურო წესდება, რომლის მოთხოვნაც იყო სტამბიდან გამოშვებამდე, გამოსაცემად გამზადებული ნაწარმოების განხილვის მიზნით, შვიდი ეგზემპლარის საცენზურო კომიტეტებისათვის წარდგენა. საცენზურო წესდების მეორე ნაწილში მოცემული იყო ნორმები „მწერალთა და წიგნის გამომცემელთა შესახებ“, რომლის საფუძველზეც სავალდებულო იყო სტამბიდან წიგნის გამოშვების და საავტორო უფლების რეგისტრაცია. წეს-

⁹⁰ ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, (1629–1929) საქართველოს სსრ „სახელმწიფო წიგნის პალატა“, თბილისი, 1941, გვ. 21.

დებით ავტორს ჰქონდა განსაკუთრებული უფლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიეღო სარგებლობა თავისი ნაწარმოების გამოცემიდან და შეხედულებისამებრ გაეყიდა. მსგავსი უფლებები ჰქონდა ავტორის კანონიერ წარმომადგენლებსაც. წესდების თანახმად, ავტორის გარდაცვალებიდან საავტორო უფლების მოქმედების ვადის (25 წლის) გასვლის შემდეგ ნაწარმოები საზოგადოების საკუთრებას შეადგენდა და ყველა მსურველს შეეძლო მისი თავისუფლად გამოცემა და გაყიდვა. წესდებას გააჩნდა ხარვეზები. ამ მდგომარეობით განსაკუთრებით გამომცემლობები სარგებლობდნენ, ფაქტიურად მათ წესდება სრულ თავისუფლებას აძლევდა თვითნებურად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე გამოეცა და გაეყიდა ნაწარმოები. იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას სამართლებრივად დაერეგულირებინა საუკუნეების განმავლობაში საგამომცემლო საქმიანობის სფეროში არსებული თვითნებობა, პირიქით უფრო შეუწყო ხელი გამომცემლებს და კერძო პირებს ამ დარღვევის განხორციელებაში. ეს ნორმა წლების განმავლობაში უცვლელი დარჩა.

საავტორო კანონის არსებობის მიუხედავად, როგორც ავღნიშნეთ ავტორსა და გამომცემლობას შორის ურთიერთობა სამართლებრივად მაინც მოუწესრიგებელი იყო. ხშირად ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამომცემლობათა ნაწილი, ნაწარმოებს, ავტორის ნებართვის გარეშე აქვეყნებდა. უმრავლეს შემთხვევებში ასეთი დარღვევის გამო ავტორი თავისი სურვილით, წერილობითი პრეტენზიით მიმართავდა გამომცემლობას და არა სასამართლოს. მაშინ, როდესაც 1828 წლის წესდების თანახმად ავტორსა და გამომცემელს შორის წარმოშობილი ყველა დავა განიხილებოდა ამხანაგურ სასამართლოში. უმრავლეს შემთხვევაში წერილობით პრეტენზიას არანაირი შედეგი არ



პქონდა, ზოგიერთი გამომცემლობა ავტორთა პრეტენზიებს მიუხედავად აგრძელებდა წიგნების თვითნებურ გამოცემას. ამასთან დაკავშირებით ს. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ: „ქართველი ავტორები ხშირად უარს ამბობენ თვით სამედიატორო სასამართლოსადმი მიმართვაზეც კი დარღვეული უფლებების აღსადგენად, არადა იმდროინდელი კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არა მარტო ავტორისა და მისი უფლების მონაცვლეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება და მათ სასარგებლოდ გაუწვრცელებელი ეგზემპლარების ჩამორთმევა, არამედ აგრეთვე კონტრაფაქტორის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, სახელდობრ ციხეში პატიმრობა ორიდან რვა თვემდე.⁹¹ გამომცემლობათა ნაწილი ცდილობდა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად დაეცვა ავტორთა უფლებები, როგორც ს. ჯორბენაძე აღნიშნავს „ავტორის გარდაცვალების შემდეგ მისი ნაწერები (მათ შორის კერძო წერილები), ილიას აზრით სრულად და შეუმცდარად უნდა დაბეჭდილიყო ... ილია ჭავჭავაძე ასევე პატივისცემითაა და სიფრთხილით ეკიდებოდა ცოცხალი ავტორების ტექსტებსაც. ეს მისი როგორც რედაქტორ-გამომცემლის, მოღვაწეობასაც ეხებოდა“.⁹² მაშინ, როდესაც გამომცემლობათა ნაწილი ავტორთა ხარჯზე მდიდრდებოდა, ნაწილს საკუთარი ხარჯების გაღება უხდებოდა არსებობისათვის. მაგალითად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში „რედაქტორ-გამომცემლებს თავისი ჯიბიდან უხდებოდათ გარკვეული ფინანსების გაღება კერძოდ, ი. კერესელიძემ მთელი თავისი

⁹¹ იქვე გვ. 21.

⁹² ჯორბენაძე ს., ი. ჭავჭავაძე და ლიტერატურული საკუთრება, „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი, 1987, გვ. 50, 51.

ქონება „ცისკარს“ შესწირა, ს მესხმა „დროებას“,
ჭავჭავაძემ „ივერიას“.⁹³

საცენზურო წესდების მოთხოვნები განსაკუთრებით
ზღუდავდა ქართული წიგნების, ჟურნალ-გაზეთების
გამოცემას, ამაზე მეტყველებს მათი სიმცირე და დროებით
არსებობა. ს. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ საცენზურო
კანონმდებლობის წიაღიდან წარმომდგარი საავტორო
სამართლის ნორმები ... ყოველგვარი შეფარვის გარეშე
აღიარებდნენ ცენზურის პოლიციური ნორმების პრიორიტეტს.⁹⁴

1830 წლის 8 იანვარს რუსეთში გამოვიდა მწერალთა
უფლებების დაცვაზე დებულება, რომლითაც განისაზღვრა
კონტრაფაქციის ცნება და პასუხისმგებლობა მისი დარღვევის
შემთხვევაში. კონტრაფაქტორი ვალდებული იყო
კანონიერი გამომცემლისათვის მიყენებული ზიანი აენაზღაურებინა
ორმაგად, ჩამორთმეოდა გაყიდული
ეგზემპლარებიდან მიღებული შემოსავალი და კონტრაფაქციული
ეგზემპლარები კანონიერი გამომცემლის
სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში დებულება იცავდა
განსაკუთრებით გამომცემლის ინტერესს, რამდენადაც
ხშირად ადგილი ქონდა მათი თანხმობის გარეშე, მოგების
მიღების მიზნით, უკვე დაბეჭდილი, გამოცემული
ნაწარმოების გადაბეჭდვას.

1887 წელს საავტორო სამართლის ნორმები გამოვეყო
საცენზურო წესდებას და განთავსდა რუსეთის იმპერიის
კანონთა კრებულის, მე-10 ტომის პირველი ნაწილის, მეორე
წიგნის („სამოქალაქო კანონთა კრებული“), მეორე განყოფილებაში.

⁹³ იხ. ტაბიძე ნ., ქართულ-ჟურნალ გაზეთების გამოცემის ცდები
მე-XIX საუკუნის 70-80 იან წ.წ. ჟურნალი მნათობი, 1886 №6. გვ.
124.

⁹⁴ ჯორბენაძე ს., დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.

ფილების პირველი თავის („საკუთრების უფლება“), 420-ე მუხელში მეორე დანართის სახით, რომლის თანახმაა „საკუთრების უფლება ლიტერატურულ, მხატვრულ და მუსიკალურ ნაწარმოებზე ეკუთვნის თვით ავტორს, მათ მემკვიდრეებს და პირებს, რომლებსაც გადასცეს ლიტერატურულ, მხატვრული და მუსიკალურ ნაწარმოებზე საკუთრება. საკუთრების ამ ძირითადი სახეების, მათი სარგებლობის ვადების და მათი დაცვის წესების დარღვევის შემთხვევაში დაეა განისაზღვრება თანდართული დანართით და სამართალწარმოების კანონებით ...“⁹⁵ აღნიშნული ნორმით პირველად განისაზღვრა საკუთრების უფლების მოპოვება ნაწარმოებზე, მხოლოდ ავტორის თანხმობით. გამომცემლობა, როგორც ადრე, ავტორის ნებართვის გარეშე ვერ მოიპოვებდა საკუთრების უფლებას ნაწარმოებზე, თუმცა ავტორი მოცემული ნორმის თანახმად მეორე უკიდურესობაში ვარდებოდა, რადგან მისი ნაწარმოები მთლიანი საკუთრების სახით გამომცემლობაზე გადადიოდა.

რუსეთის იმპერიის 1890 წლის „ცენზურისა და ბუჭდვის შესახებ“⁹⁶ წესდების თანახმად, ცენზურა ვრცელდებოდა რუსეთის იმპერიის და სამეფო გუბერნიის ფარგლებში. არსებობდა ორი სახის ცენზურა, საშინაო და საგარეო. წესდება ითვალისწინებდა საცენზურო კომიტეტების შექმნას იმპერიის სხვა ქალაქებთან ერთად თბილისში. წინამორბედი საცენზურო წესდებისაგან განსხვავებით ცენზორს საეჭვო ადგილები უნდა წარედგინა ავტორის ან გამომცემლისათვის, რათა შეეცვალა ახლით ან საერთოდ

⁹⁵Сводъ Законовъ Россійской Имперіи, Т. X, Книга вторая, часть первая, Раздѣль второй, 1887, ст. 27.

⁹⁶Уставъ о Цензурѣ и Печати, Сводъ Законовъ Россійской Имперіи, Т. X, Книга вторая, 1890, ст. 50.



ამოელო იგი. მხოლოდ ამის შემდეგ აწერდა იგი ხელს/ ხელნაწერის დაბეჭდვის ნებართვაზე, ხოლო ცენზორის ცვლილებების გათვალისწინება უკვე გამომცემელზე იყო დამოკიდებული. პერიოდული გამოცემის განხილვის დროს, ავტორს ან გამომცემელს შეეძლო მიეწოდებინა ისინი პირდაპირ დანიშნული ცენზორისათვის, რომელიც შემდგომ წარუდგენდა თანხმობის წერილს წიგნის ან პერიოდული გამოცემის მონაცემებზე საცენზურო კომიტეტს და ამის შემდეგ უბრუნებდა მის წარმდგენს. გამომცემელი ან ავტორი, რომელიც საცენზურო კომიტეტის უკმაყოფილო იყო, უფლება ჰქონდა მიემართა საჩივრით ბეჭდვის საქმეების მთავარი სამმართველოსათვის. ანალოგიური წესების დაცვით ხდებოდა ნაწარმოების მეორედ გამოცემა.

რუსეთის იმპერიის უკანასკნელი კანონი „საავტორო სამართალზე“ მიღებულ იქნა 1911 წლის 20 მარტს.⁹⁷ წინა წლების კანონებთან შედარებით ის იყო პროგრესული კანონი, თუმცა ზოგიერთი ნორმა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. ს. სუდარნიკოვის და სხვა თანამედროვე მეცნიერების აზრით რუსეთის იმპერიის „საავტორო უფლების“ კანონზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გერმანულმა კანონმდებლობამ, ხოლო ნაკლები გავლენა იქონია ფრანგულმა კანონმდებლობამ. ი. სინაისკი 1911 წლის კანონზე აღნიშნავს, რომ „ავტორს და მის მემკვიდრეებს შეუძლიათ არა მარტო დათმონ ნაწარმოების გამოცემის უფლება, არამედ გაასხვისონ კიდევ ისინი.“⁹⁸

რევოლუციამდელი საქართველოს პრაქტიკა 1911 წლის საავტორო უფლების კანონიდან გამომდინარე, ითვალის-

⁹⁷Беляцкий С. А., Новое авторское право в его основных принципах, СПб. : «Право», 1912, ст. 18.

⁹⁸Синаиский В. И., Русское гражданское право, К. «Прогресс», 1917, ст. 249.

წინებდა ავტორის მიერ, როგორც დაწერილი ასევე დაუწერელი ნაწარმოებების გამომცემლისადმი მიყიდვის რუსეთის იმპერიის კანონმდებლობა (და მით უფრო საქართველო) უძლური აღმოჩნდა საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სფეროში, მან ვერ შეძლო, წლების განმავლობაში, არსებული ხარვეზების მოწესრიგება. კანონმდებელი ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა ავტორთა საჩივრები გამომცემლების თვითნებურ მოქმედებაზე. სახელმწიფო არ იყო დაინტერესებული ამ საკითხით. თუმცა მისი მიზანი იყო საწესდებო ცენზურის გათვალისწინებით არსებული სახელმწიფო პოლიტიკის შენარჩუნება და ამაში მთავარი ფუნქციის შემსრულებელი გამომცემლობა იყო, სახელმწიფო მხოლოდ ამ მიმართულებით ცდილობდა ცენზურის დახმარებით თითქოსდა საგამომცემლო საქმიანობის მოწესრიგებას. მაგრამ, ეს არსებული პრობლემებისადმი მიდგომის არასწორი გზა აღმოჩნდა.



თავი IV. საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საბჭოთა საქართველოში და თანამედროვე პერიოდში

§ 1. გამომცემლობის სამართლებრივი სტატუსი საბჭოთა საქართველოში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც მდგომარეობა არ შეცვლილა, რუსული კანონმდებლობა ტრადიციისამებრ განაგრძობდა მოქმედებას. საავტორო სამართლის სფეროში სავალდებულო ძალა ჰქონდა რუსული კანონების გადმოქართულებულ ვარიანტს. ამასთან დაკავშირებით დ. ძაძუკაშვილი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, ცხადია, საქართველოში, როგორც, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის ტერიტორიაზე მოქმედებდა სოციალისტური იდეოლოგიასა და პრინციპებზე აგებული საბჭოური სამართლის სისტემა.“⁹⁹

1917 წლის 29 დეკემბერს დამტკიცდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი „სახელმწიფო გამომცემლობების შესახებ“, რომელმაც ბოლო მოუღო კერძო გამომცემლობების არსებობას. აღნიშნული დეკრეტით სახელმწიფომ მონოპოლია მთლიანად აიღო საგამომცემლო საქმიანობაზე. ამის პირველი მცდელობა იყო ის, რომ განათლების სახალხო კომისარიატს მიენიჭა უფლება გამოეცხადებინა გარდაცვლილი ავტორთა თხზულებები სახელმწიფო მონოპოლიად ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა.

⁹⁹ძაძუკაშვილი დ., ინტელექტუალური უფლებები, „ინტელექტი“, თბილისი, 2006, გვ. 250.

1918 წლის დეკრეტი „მეცნიერული, ლიტერატურული, მუსიკალური და მხატვრული ნაწარმოების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებაზე“, გარდაცვლილი და ცოცხალ ავტორთა გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ყველა სახის ნაწარმოებს აცხადებდა სახელმწიფო საკუთრებად. დეკრეტი ვრცელდებოდა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ამიტომაც სხვა რესპუბლიკების ტერიტორიაზე მატულობდა, როგორც ავტორის, ასევე გამომცემლობების უფლებების დარღვევის შემთხვევები. ამ მიზნით 1925 წლის 30 იანვარს სსრკ-ს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება „საავტორო სამართლის საფუძვლებზე“, რომელმაც დაადგინა, რომ ავტორს აქვს თავისი ნაწარმოების გამოცემის განსაკუთრებული უფლება და შეუძლია კანონით ნებადართული ყველა საშუალებით მისი კვლავ გამოცემა და გავრცელება.¹⁰⁰ აღნიშნულმა დადგენილებამ წინა წლების საბჭოური დეკრეტებისაგან განსხვავებით შედარებით გამოკვეთა გამომცემლის და ავტორის უფლებები და მოვალეობები. მოცემული ნორმატიული აქტი ვრცელდებოდა საქართველოშიც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავინდებურად განაგრძობდა მოქმედებას რუსული კანონმდებლობის გადმოქართულებული ვარიანტი. პირველი რაც საგამომცემლო საქმიანობის სფეროში განხორციელდა იყო 1923 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საბჭოთა რესპუბლიკის ლიტერატურისა და

¹⁰⁰Собрание законов и распоряжений рабоче-крестьянского правительства СССР, Отдел первый, 1925 №7, ст. 118.

გამომცემლის საქმის მთავარი მმართველობის შესახებ¹⁰¹ დებულების მიღება, რომლის საფუძველზეც ლიტერატურისა და გამომცემლის საქმის მთავარი მმართველობის ადგილობრივ ორგანოს ეკისრებოდა ნებისმიერი სახის გამოსაქვეყნებელი და გასაერცვლებელი ნაწარმოების წინასწარი განხილვა. ფაქტიურად აღნიშნული ორგანო საცენზურო კომიტეტის შემკვიდრე გახდა.

1926 წელს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „კერძო გამომცემლობის დებულების დამტკიცების შესახებ“¹⁰² საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც აკრძალა კერძო საკუთრება, ის დათმობაზე წავიდა და სახელმწიფო გამომცემლობასთან ერთად კერძო გამომცემლობების მოქმედებისათვის ნებართვას იძლევა. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ დადგენილების მერვე მუხლის თანახმად კერძო გამომცემლობას უფლება არ ჰქონდა გამოეცა ყოველგვარი ნაწარმოები, კერძოდ ისეთი ნაწარმოებები, რომლის გამოცემაზე მონოპოლია ჰქონდა სახელმწიფო გამომცემლობას (სასწავლო, სახელმძღვანელო, საბავშვო ლიტერატურა). მ. აგარკოვი და დ. გენკინი აღნიშნავენ, რომ საქართველოში XX საუკუნის 30-40-იან წლებში მოქმედებს „ მხოლოდ სახელმწიფო, საზოგადო ან კოპერატიული გამომცემლობა“.¹⁰³

¹⁰¹ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, ტფილისი, 1923 №1.

¹⁰² საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, ტფილისი, 1926 №4.

¹⁰³ აგარკოვი მ., გენკინი დ., სამოქალაქო სამართალი, ნაწ. II, თბილისი, 1947, გვ. 315.



სამართლებრივი რეგულირების პირველი ცდა XX საუკუნის 30-იან წლებში იყო, როდესაც გამომცემლის და ავტორის ურთიერთობა, კერძოდ, საავტორო უფლებების გასხვისება (მთლიანად ან ნაწილობრივ) საგამომცემლო ხელშეკრულებით პირველად განისაზღვრა 1929 წელს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული დებულებით „საავტორო უფლების შესახებ (მუხ. 20).

გამომცემლობების მიერ გაყალბების გაძნელების მიზნით, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი, 1933 წელს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება „ბეჭდვით ნაწარმოებზე სავალდებულო აღნიშვნის შესახებ“¹⁰⁴ მოქმედ ყველა გამომცემლობას, დაწესებულებას, საწარმოს ორგანიზაციას და პირებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გამოსცემდნენ ყველა სახის ბეჭდვით ნაწარმოებს (წიგნი, ბროშურა, ჟურნალი, ბიულეტენი, გაზეთი, ნოტები, გეოგრაფიული რუკა, პლაკატი და ა.შ). ვალდებულებას აკისრებდა თავიანთ გამოცემულ ნაწარმოებზე აღნიშნათ: გამომცემლობის და სტამბის სახელწოდება, გამოცემის ადგილი და დაბეჭდვის წელი, ფასი, ეგზემპლართა რაოდენობა, რედაქტორის გვარი, სტამბის შეკვეთის ნომერი და ა.შ. აღნიშნული მონაცემები მოთავსებული უნდა ყოფილიყო გარეკანზე და თავფურცელზე ან ტექსტის შემდეგ უკანასკნელ გვერდზე.

¹⁰⁴საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, ტფილისი, 1933 №21.



1963 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული იქნა დადგენილება გამომცემლობების მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.¹⁰⁵ ამ დებულების თანახმად ყველა მოქმედ გამომცემლობას განსაზღვრული ჰქონდა თუ რა სახის ნაწარმოები უნდა გამოეცა.

საქართველოს XX საუკუნის 60–70-იანი წლებიდან სსრკ-ის დაშლამდე გამომცემლობის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდებოდა საკავშირო კანონმდებლობით, სამოქალაქო სამართლის საფუძვლებით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით და ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა დადგენილებებით.

საბჭოთა პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ გამომცემლობა სახელმწიფოს საკუთრება იყო და ემსახურებოდა მის პოლიტიკას. გამომცემლობა გათვლილი იყო „უფრო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელების, მუშათა მოძრაობის ლიდერების შრომების, სტატიების, ყრილობის მასალების, პარტიული დოკუმენტების, პარტიული და სამთავრობო ჟურნალ-გაზეთების და სხვა ანალოგიური გამოცემებისათვის, რომელიც ყოველად დაუსაბუთებლად მილიონობით ეგზემპლარი გამოდიოდა.“¹⁰⁶ სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული კონტროლი იყო დაწესებული საავტორო უფლების სსრკ-ის ფარგლებს გარეთ გაყიდვაზე. ის განსაზღვრავდა საგამომცემლო ხელშეკრულების დადების და ავტორთათვის გადასაცემი პონორარის საკითხს. ამასთან დაკავშირებით ლ. ოუენი აღნიშნავს, რომ „რეგიონის ქვეყნებში კანონმდებლობა ითვალისწინებდა მრავალ გარემოებას, როცა ავტორის ნაწარმოების გამოყენება შესაძლებელი იყო

¹⁰⁵ საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, თბილისი, 1963 №2.

¹⁰⁶ დარბუაშვილი ნ., საკანდიდატო დისერტაცია პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარების საკითხი საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, თბილისი, 1999.



ნებართვის აუღებლად და უფასოდ, ან ნებართვის აუღებლად, მაგრამ გარკვეული ნიხრების გადასახადის გადახდით. ადგილობრივ ავტორებს უხდინენ მათ მიერ შექმნილი ნაწარმოების ტიპისა და დასტამბული ტირაჟის მიხედვით და არა რეალურად გაყიდული ეგზემპლარების საფუძველზე¹⁰⁷. უნდა ითქვას, რომ საქართველოს გამომცემლობებში ასეთი სისტემით გამოცემა დღესაც გრძელდება, რამდენადაც ახალ როიალ-თის სისტემაზე გადასვლა საქართველოს პირობებში არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა.

§2. საგამომცემლო ხელშეკრულების ადგილი საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პროცესში

თუ რევოლუციამდელ საქართველოში იმპერიული კანონმდებლობის მიხედვით საგამომცემლო ხელშეკრულება განიხილებოდა, როგორც გამომცემლის მიერ თავისი უფლებების დაცვის საშუალება, პირველ ქართულ საბჭოთა საკანონმდებლო აქტებში საგამომცემლო ხელშეკრულება გახდა ავტორის მიერ თავისი უფლებების გამომცემლობისათვის გადაცემა.

ქართულ კანონმდებლობაში საგამომცემლო ხელშეკრულება თავდაპირველად გეხვდება 1929 წელს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ დებულებაში „საავტორო უფლების შესახებ“¹⁰⁸. ხოლო 1965

¹⁰⁷ოუენი ლ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 10.
¹⁰⁸საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული ტფილისი, 1929 №19, ხუხუნი მ., ონაშვილი დ., საავტორო უფლება, (მოქმედ კანონმდებლობათა კრებული), თბილისი, 1936, გვ. 5.



წელს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში. დებულებით საგამომცემლო ხელშეკრულება იყო ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე. საავტორო უფლება შეიძლება გასხვისებულიყო მთლიანად ან ნაწილობრივ, საგამომცემლო ხელშეკრულებით, ანდერძით ან სხვა კანონიერი საშუალებით. ის განსაზღვრავდა, რომ საავტორო უფლებიდან გამომდინარე უფლებების გამომცემლობისათვის გასხვისება ნებადართული იყო მხოლოდ საგამომცემლო ხელშეკრულებით. მოცემული იყო საგამომცემლო ხელშეკრულების შემდეგი ცნება: „საგამომცემლო ხელშეკრულების ძალით ავტორი გარკვეული ვადით უთმობს ნაწარმოების გამოცემის განსაკუთრებულ უფლებას ობიექტური ფორმით ჩამოყალიბებული ნაწარმოების გამოცემაზე, ხოლო გამომცემელი კისრულობს გამოსცეს ეს ნაწარმოები და მიიღოს მისგან დამოკიდებული ყველა ღონისძიება მისი გავრცელებისათვის (მუხ.21).“ დიდი ხნის განმავლობაში საგამომცემლო ხელშეკრულების ასეთი დახასიათება ეჭვს არ იწვევდა.

დებულება აღიარებდა საგამომცემლო ხელშეკრულების ორი ფორმას ა) უფლების დათმობის წერილობითი ფორმა, სადაც სწორად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული საავტორო უფლების გამოყენების ხასიათი და პირობები, კერძოდ, გამოცემათა რაოდენობა, ნაწარმოების გამოქვეყნების ვადა, საავტორო პონორარის რაოდენობა, საგამომცემლო ხელშეკრულების ვადა. ფორმის დაუცველად დადებული ხელშეკრულება იწვევდა არსებული უფლების დაკარგვას. და ბ) ზეპირი ფორმა ისეთი ნაწარმოებისათვის, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო პერიოდულ გამოცემაში და ენციკლოპედიურ ლექსიკონში. დასაშვები იყო საგამომცემლო ხელშეკრულების დადება ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც ჯერ კიდევ



არ იყო სათანადო ობიექტური ფორმით ჩამოყალიბებული, თუ საგამომცემლო ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული გამომცემლის უფლება ნაწარმოების ხელახლა გამოცემაზე, დებულებით ეს დასაშვები იყო იმ შემთხვევაში თუ ავტორი წერილობით თანხმობას განაცხადებდა. იმ შემთხვევაში თუ გამომცემელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ გამოსცემდა ნაწარმოებს, მას ეძლეოდა შეღავათიანი ვადა, რომელიც შეადგენდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ნახევარს და თუ ამ ვადის გასვლის შემთხვევაშიც ნაწარმოები არ გამოიცემოდა, მაშინ ავტორის ცალმხრივი განცხადების საფუძველზე გამოცემის უფლება ისპობოდა და ხელნაწერი უბრუნდებოდა ავტორს. პრაქტიკულად არსებობდა სამი სახის საგამომცემლო ხელშეკრულება, ა) ლიტერატურული, ბ) მუსიკალური და გ) მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოების.

XX საუკუნის 40-იან წლებში სსრკ-ში დადგა საკითხი საავტორო სამართლის სფეროში მოქმედი ხელშეკრულებების საერთო ცნებაში თავმოყრის თაობაზე. რაც განხორციელდა კიდევ და ახალ ტერმინად დამკვიდრდა „საავტორო ხელშეკრულება“.¹⁰⁹ თანამედროვე ეტაპზე ზოგიერთ ქვეყნებში სახელწოდება „საავტორო ხელშეკრულება“, აღიქმება, როგორც საყოველთაოდ მიღებული, როგორც მეცნიერ-თანამშრომლებისათვის ასევე კანონმდებლობისათვის.

¹⁰⁹ იხ. Танин Г. М., Договор художественного заказа // Советское государство и право, 1948 №2, ст. 70-73; ახელედიანი ზ., ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის უფლებები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974, გვ. 21-22.



უნდა ითქვას, რომ საგამომცემლო ხელშეკრულება, როგორც საავტორო ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე-
პირველად გვხვდება 1965 წლის საქართველოს სამოქალაქო
სამართლის კოდექსში. საგამომცემლო ხელშეკრულება არ
იყო გათვალისწინებული 1924, 1925, 1927, 1938, 1950, 1955
წლების საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსში.
1965 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 516-ე
მუხლში ჩამოთვლილ საავტორო ხელშეკრულების სახეები-
დან პირველი მათგანი იყო ხელშეკრულება ნაწარმოების
გამოცემისა ან ხელახლა გამოცემის შესახებ, რომელიც
უნდა დადებულიყო ტიპობრივი ხელშეკრულების შესა-
ბამისად. ამ ტიპის ხელშეკრულებას კი ამტკიცებდა საქარ-
თველოს კულტურის სამინისტრო დაინტერესებულ
უწყებებთან და შემოქმედებით კავშირებთან შეთანხმებით,
გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი ხელშეკრულების
დამტკიცებას სსრკ კანონმდებლობა, სსრკ გამგებლობას
აკუთვნებდა.¹¹⁰ ფაქტიურად ტიპობრივი საგამომცემლო
ხელშეკრულება იყო სავალდებულო ნორმატიული აქტი
გამომცემლისათვის და ავტორისათვის. აღნიშნულთან
დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა კანონ-
მდებლობა საავტორო უფლებაზე ითვალისწინებდა საავ-
ტორო უფლების დათმობის მხოლოდ ორ ხელშეკრულებას
-საგამომცემლო ხელშეკრულებას და დადგმის ხელშეკრუ-
ლებას. მაგრამ პრაქტიკაში გამოიყენებოდა ბევრი სხვა ხელ-
შეკრულება. ასე მაგალითად, დადგმის ხელშეკრულებიდან
გამოიყო და დამოუკიდებელ სახეობად განვითარდა-
სასცენო ხელშეკრულება.

XX საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველოში
მოქმედებდა ორი ტიპის საავტორო ხელშეკრულება: ა) საავ-

¹¹⁰ იხ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1965, მუხ. 518.



ტორო ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ; და ბ) სალიცენზიო ხელშეკრულება; (ცვლილებებითა და დამატებებით 1986 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 515-ე მუხლი).

საბჭოთა და პოსტსოციალისტურ პერიოდში ავტორისა და გამომცემლობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ორი ძირითადი თეორია შეიქმნა. პირველი თეორიას ემხრობოდნენ ბ. ანტიმონოვი,¹¹¹ კ. ფლეიშიცი, ევაკმანი,¹¹² ი. გრინგოლცი, მ. ნიკიტინა,¹¹³ რომლებიც საავტორო ხელშეკრულების საგნად თვლიდნენ იმ ნებართვას, რომელიც ეძლეოდა ნაწარმოების გამოყენებელს ნაწარმოების გამოყენებაზე ეს არის ე. წ. „ნებართვის თეორია.“ მეორე თეორია უფლების „გადაცემის“ მოიცავს მეცნიერ თანამშრომლების ა. ვაკსბერგის,¹¹⁴ მ. კირილოვას,¹¹⁵ ვ. სერებროვსკის¹¹⁶ თვალსაზრისს, რომლებიც პირველ რიგში ყურადღებას აქცევდნენ ნაწარმოების გამოყენებაზე უფლების გადაცემას, თვლიდნენ, რომ ნებართვის მიცემა ავტორის მიერ არასაკმარისია ნაწარმოების გამოყენებისას

¹¹¹ Антимонов Б. С., Флейшиц Е. А., Авторское право, М., «Госюриздат», 1957., ст. 190 – 259.

¹¹² Вакман Е., Грингольц И. А., Авторские права художников, М., «Советский художник», 1962, ст. 63.

¹¹³ Никитина М. И., Авторские права на произведения науки, литературы и искусства, Казань, «Казанск. Ун-та», 1972, ст. 45; Никитина М. И., Издательский договор на литературное произведение в советском авторском праве: Автореферат. Дис...канд. юрид. наук: МГУ им. М. В., Ломоносова, М., 1954, ст. 12.

¹¹⁴ Ваксберг А.Н., Издательство и автор, Правовые взаимоотношения, М., «искусства», 1958, ст. 50-59. Ваксберг А. Н., Основные черты издательского договора по советскому гражданскому праву, М., «Госюриздат», 1955, ст. 21-26.

¹¹⁵ Кириллова М. Я., развитие Советского авторского права: Учеб. Пособие, Свердловск, «СЮИ», 1982, ст. 18-25

¹¹⁶ Серебровский В. И., Вопросы Советского авторского права, М., «Академии Наук», СССР, 1956, ст. 28-35.



თავისი უფლების რეალიზაციისათვის. არსებობს ავტორული კომპრომისული თვალსაზრისი, რომელსაც გამოთქვამს ვ. დოზორცევი. მისი აზრით საავტორო ხელშეკრულების ერთი ტიპი, ანუ ხელშეკრულება ნაწარმოების გამოსაყენებლად გადაცემაზე არ ითვალისწინებს საავტორო უფლებების დათმობას და ის მხოლოდ იძლევა ნაწარმოების გამოყენების უფლებას, ხელშეკრულების მეორე სახეობა-საღი-ცენზიო ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს საავტორო უფლების მომხმარებლისადმი გადაცემას.¹¹⁷

ჩვენს მიერ გამოყენებული რუს მეცნიერთა შეხედულებები ემსახურებოდა საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას, გამომცემელთა და ავტორთა ურთიერთობას. ავტორთან მხრიდან საავტორო უფლების გადაცემის და დათმობის გზით.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საგამომცემლო ხელშეკრულებას, რამდენადაც სწორედ ამ სახის ხელშეკრულებით ადგილი ჰქონდა ავტორის მხრიდან თავისი საავტორო უფლების დათმობას და გადაცემას გამომცემლისათვის. საქართველოში XX საუკუნის 60-იანი წლების II ნახევრიდან 90-იანი წლებამდე საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირება ხდებოდა სამოქალაქო სამართლის კოდექსით (საგამომცემლო ხელშეკრულებით) და ტიპობრივი ხელშეკრულებით. საბჭოთა პერიოდმა მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო ამ სფეროში ხარვეზების შევსება.

¹¹⁷ Дозорцев В. А., Авторский договор и его типы // Советское государство и право, 1977 №2, ст. 43-50.

§ 3. საგამომცემლო საქმიანობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები



საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოქმედ საბჭოთა პერიოდის (1964 წლის) სამოქალაქო სამართლის კოდექსში, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები განიცადა, გარკვეული ადგილი ეთმობოდა საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას, რაც მოწესრიგებული იყო საგამომცემლო და ტიპობრივი ხელშეკრულებებით. 1964 წლის კოდექსი შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, თუმცა ის ნაწილობრივ აკმაყოფილებდა იმ პერიოდისათვის არსებულ მოთხოვნებს. კერძო საკუთრების განვითარებამ დასვა მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც შეეხო საგამომცემლო საქმიანობასაც. 1997 წელს საქართველოში მიღებული სამოქალაქო სამართლის კოდექსის მეოთხე თავი დაეთმო ინტელექტუალურ სამართალს, სადაც საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება არ შეესაბამებოდა თანამედროვე სტანდარტებს. კერძოდ 1037-ე მუხლში, „გამომცემლის განსაკუთრებულ უფლებები“ აღნიშნულია, რომ „ენციკლოპედიების, ენციკლოპედიური ლექსიკონების, მეცნიერული ნაშრომების პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალების და სხვა პერიოდული გამოცემების გამომცემლებს ეკუთვნით ასეთი ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება.“ აღნიშნული მუხლი ეხება არა ყველა სახის ნაწარმოების, არამედ მხოლოდ პერიოდულ გამოცემის გამომცემლის უფლებებს. ამავე კოდექსში სააგტორო ხელშეკრულების და მისი სახეების (განსაკუთრებული და ჩვეულებრივი სალიცენზიო ხელშეკრულება) ზოგადმა განმარტებამ პრაქტიკულად ბევრი გაუგებრობა



წარმოშვა, რაც გამომცემლობის მხრიდან მრავალ დარღვევის საფუძველი გახდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ,“ 1999 წელს მიღებულ კანონში. ამასთან დაკავშირებით დ. ძამუკაშვილი აღნიშნავს, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლების შესახებ კანონი“ არ ითვალისწინებს ტიპობრივ ხელშეკრულებებს საავტორო უფლებათა გამოყენებასთან ან გადაცემასთან დაკავშირებით .. ეს ვითარება მოსაწვეს-რიგებელია, რადგან ზოგადი ნორმების გამოყენება მრავალ გაუგებრობას და გაურკვეველობას ვერ მოხსნის.“¹¹⁸ აღნიშნულ კანონში 2005 წელს 03.06. №1595 შესული ცვლილებებითა და დამატებებითაც, არაფერი შეცვლილა ამ მიმართულებით.

საგამომცემლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მოუწესრიგებლობა სერიოზულ პრობლემებს უქმნის როგორც, სახელმწიფოს ასევე გამომცემლობას და ავტორს. აქედან გამომდინარე საგამომცემლო საქმიანობის სფეროში საკანონმდებლო ხარვეზებით გამოწვეული პრობლემების დაძლევისათვის მართებულია „საავტორო და მომიჯნავე უფლების შესახებ“ კანონში საავტორო უფლების გადაცემაზე არსებული ზოგადი ნორმები ჩამოყალიბდეს კონკრეტულად, რომელშიც კომპლექსურად იქნება გათვალისწინებული ავტორისა და გამომცემლის უფლებები და მოვალეობები. რაც აგვაცილებს გამომცემლის თვითნებურ მოქმედებას და სხვა გაუგებრობას.

¹¹⁸ ძამუკაშვილი დ., შენგელია რ., გაბუნია დ., ხრუსტალი ე., ჯორბენაძე ს., „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, გვ. 193.

საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის წარმოშობის, განვითარების და სამართლებრივი რეგულირების კვლევის აქტუალურობა განპირობებულია მისი არასათანადო დამუშავებით და თანამედროვე მოთხოვნებით. სწორედ ამან განაპირობა აღნიშული საკითხის წამოწევა წინა პლანზე.

XIX საუკუნემდე წინამდებარე საკითხის გამოკვლევისას გამოყენებულ იქნა ჩვენამდე მოღწეული ისტორიული და ლიტერატურული წყაროები. შემდგომი პერიოდის კვლევა განხორციელდა საკანონმდებლო წყაროების და ცალკეულ მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი დოქტრინების საფუძველზე, რომლის გათვალისწინებითაც ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები:

1. ტერმინი „სკრიპტორიუმი“ არის წიგნის გადამწერთა სახელოსნო, რომელიც საქართველოში აღმოცენდა სავარაუდოდ X-XI საუკუნეებში მეფე-დიდებულთა სასახლეებში და ეკლესია - მონასტრებში. სკრიპტორიუმებში ეწეოდნენ საგამომცემლო საქმიანობას - წიგნების კალიგრაფიულ გადაწერას, აკინძვას, შემოსვა-მოკაზმვას და გავრცელებას. ქართველ მწიგნობრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სკრიპტორიუმებთან. წიგნის გავრცელების ერთადერთი საშუალება იყო მისი გადაწერა. წერა, გადაწერა, დაწერა და მწიგნობრობა ხელოსნობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა. გადაწერის ამ რთულ ხელოვნებას ბავშვობიდან ეუფლებოდნენ, შესაბამისად საქართველოში არსებობდა კალიგრაფთა სკოლები, სადაც ამზადებდნენ მაღალი კვალიფიკაციის გადამწერებს. სკრიპტორიუმების და გადამწერთა საქმი-



ანობა უმეტეს შემთხვევებში რეგულირებული იყო იურიდიული ძალის მქონე, მეფეთა, ხელქვეით მოხელეთა, კერძო პირთა, დაწესებულებათა მიერ გამოცემული ბრძანებების და პატრიარქის ეპისტოლეს საფუძველზე. XVIII საუკუნემდე საგამომცემლო საქმიანობაზე ვრცელდებოდა მეფისა და კათალიკოსის მონოპოლია.

2. გადამწერებს ჰქონდათ გარკვეული უფლება-მოვალეობები:

ა) გაყალბების თავიდან აცილების მიზნით იყენებდნენ საგამომცემლო ნიშანს, რომელიც შედგებოდა გადამწერის სახელის, ხელმოწერის და გადაწერის თარიღისაგან (წელი, თვე და რიცხვი). იგი მოცემული იყო გადაწერილი წიგნის თანდართულ ანდერძში;

ბ) გადამწერთა შრომა სასყიდლიანი იყო. ანაზღაურება დამოკიდებული იყო გადამწერის პროფესიონალიზმზე და გადასაწერი მასალის მოცულობაზე;

